MOORE

საკანონმდებლო სიახლეები

სექტემბერი-ოქტომბერი 2020

შინაარსი

საქართველოს მთავრობის დადგენილება №619
გვერდი 1

ცვლილებები საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებაში №996
გვერდი 2

ცვლილებები შემოსავლების სამსახურის 2016 წლის 18 მაისის № 13446 ბრძანებაში
გვერდი 2

სალომე ოდიშარია
საგადასახადო კონსულტანტი

T: +995 (599) 195 040
E: salome.odisharia@moore.ge

თეონა აბდუშელიშვილი
პარტნიორი

T: +995 (558) 506 006
E: theona.abdushelishvili@moore.ge

MOORE

T: +995 (322) 000 123
E: info@moore.ge
მისამართი: მარჯანიშვილის ქ N6, მწვანე შენობა, 0102, თბილისი, საქართველო

საქართველოს მთავრობის დადგენილება №619

2020 წლის 8 ოქტომბერს გამოიცა საქართველოს მთავრობის დადგენილება №619 "საერთაშორისო კომპანიის სტატუსის განსაზღვრის, მისთვის ნებადართული საქმიანობისა და ცალკეული ხარჯების ნუსხის დამტკიცების თაობაზე". შეგახსენებთ, რომ აღნიშნულ საკითხს შეეხება ასევე საქართველოს საგადასახადო კოდექსის 23-ე მუხლი.

მთავრობის №619-ე დადგენილების თანახმად:

- საერთაშორისო კომპანიის სტატუსი შესაძლებელია მიენიჭოს საქართველოს საწარმოს;
- პირს საერთაშორისო კომპანიის სტატუსს ანიჭებს საქართველოს მთავრობა;
- საერთაშორისო კომპანიის სტატუსის მისაღებად დაინტერესებული პირი საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი ფორმის განცხადებით (წერილობით ან ელექტრონულად) მიმართავს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – შემოსავლების სამსახურს;
- თუ სტატუსის მინიჭების თაობაზე განცხადება აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს, შემოსავლების სამსახური პირის განცხადებას თანდართულ მასალებთან ერთად წარუდგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, რომელიც, თავის მხრივ, მიღებულ დოკუმენტაციასა და წინადადებას წარუდგენს საქართველოს მთავრობას;
- პირისათვის საერთაშორისო კომპანიის სტატუსის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა;
- საერთაშორისო კომპანიის სტატუსის მქონე პირს უფლება აქვს გასწიოს შემდეგი სახის მომსახურებები:

1. „ეკონომიკური საქმიანობის სახეების საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის“ 58.2 კოდით გათვალისწინებული შემდეგი საქმიანობები:

- პროგრამული უზრუნველყოფის გამოცემა;
- კომპიუტერული თამაშების გამოცემა;
- სხვა პროგრამული უზრუნველყოფის გამოცემა;

2. „ეკონომიკური საქმიანობის სახეების საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის“ 62 კოდით გათვალისწინებული შემდეგი საქმიანობები:

- კომპიუტერული დაპროგრამება, კონსულტირება და მათთან დაკავშირებული საქმიანობები;
- კომპიუტერული დაპროგრამების საქმიანობები;
- საკონსულტაციო საქმიანობები კომპიუტერული ტექნოლოგიების დარგში და სხვა (იხ. დანართი N2)

საგულისხმოა, რომ საგადასახადო კოდექსის 23-ე მუხლის თანახმად, საერთაშორისო კომპანიის მოგების გადასახადის განაკვეთია 5%; საერთაშორისო კომპანია გათავისუფლებულია ქონების (გარდა მიწისა) გადასახადისაგან, ხოლო საერთაშორისო კომპანიაში დაქირავებითი მუშაობის შედეგად მიღებული შემოსავალი 5 %-ით იბეგრება.

Moore abc is a limited liability company -registered in Georgia with identification number 206331691. Registered in the State Registry of Audit Firms with the registration number: SARAS-F-320544. An independent member firm of Moore Global Network Limited - a network of independent audit and consulting firms.

MOORE

ცვლილებები საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებაში №996

საერთაშორისო კომპანიის სტატუსთან დაკავშირებით რამდენიმე ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 31.12.2010 წლის N996-ე ბრძანებაში, რაც საერთაშორისო კომპანიის სტატუსის მისაღებად წარსადგენი განცხადების ფორმასა და საერთაშორისო კომპანიაში დაქირავებით მუშაობის შედეგად მიღებული შემოსავლის დაბეგვრის წესს შეეხება.
აღსანიშნავია შემდეგი ინფორმაცია ცვლილებებთან მიმართებით:

- საერთაშორისო კომპანიაში დაქირავებით მუშაობის შედეგად მიღებული შემოსავალი 5 % - ით იბეგრება;
- დაქირავებით მომუშავე ფიზიკურ პირებზე ხელფასის/სარგებლის (ფულადი ან ნატურალური) სახით გაცემული ანაზღაურება და დაქირავებულების შესახებ ინფორმაცია აისახება გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადების დეკლარაციაში;
- გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადების დეკლარაციის „ა" დანართში მე-5 სვეტში "შემოსავლების მიმღებ პირთა კატეგორია" ემატება "საერთაშორისო კომპანიის სტატუსის მქონე საწარმოში დაქირავებით მომუშავე ფიზიკური პირები"

ცვლილებები შემოსავლების სამსახურის 2016 წლის 18 მაისის № 13446 ბრძანებაში

15 ოქტომბერს განხორციელდა ცვლილებები შემოსავლების სამსახურის 2016 წლის 18 მაისის № 13446 ბრძანებაში, რომლის თანახმადაც, გადასახადის გადამხდელს უუქმდება გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე ყოველი წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რიცხული ზედმეტად გადახდილი თანხა, რომელზეც მომდევნო წლის პირველი იანვრის მდგომარეობით გასულია საგადასახადო/საბაჟო ორგანოსთვის გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის წარდგენის ხანდაზმულობის ვადა, თუ მას გაუქმების ოპერაციის გატარების თარიღამდე ბოლო 3 წლის განმავლობაში არ უფიქსირდება გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე (მათ შორის, დროებითი აღრიცხვის ბარათზე) გატარებული ოპერაცია.

ამ მიზნით, მხედველობაში არ მიიღება ოპერაცია, რომლის საფუძველზე გადასახდელად დასარიცხი გადასახადის თანხა ნულის ტოლია (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წარდგენილი საგადასახადო დეკლარაციით/გაანგარიშებით ჩასათვლელი თანხა დარიცხული თანხის ტოლია).

დამატებითი ინფორმაციისათვის:
www.moore-georgia.ge

MOORE abc წარმოადგენს აუდიტორული და საკონსულტაციო ფირმების გლობალური ქსელის "Moore Global Network Limited "- ის წევრ კომპანიას. Moore Global - ი წარმოადგენს საბუღალტრო და ბიზნეს საკონსულტაციო კომპანიას რომელიც მსოფლიოს 114 ქვეყანაშია წარმოდგენილი. 2019 წლისათვის ქსელის საერთო შემოსავალმა შეადგინა 3.05 მილიარდი აშშ დოლარი.

MOORE abc არის ერთ-ერთ ლიდერი კომპანია ქვეყანაში, რომელიც 2008 წლიდან უწევს საბუღალტრო და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების, ქონების შეფასების, აუდიტსა და დაკავშირებულ პროფესიულ მომსახურებას მთელი საქართველოს მასშტაბით.